საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოთხე კვარტალური ანგარიში (2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერი) საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვითარების შესახებ

შინაარსი

I. შესავალი 1

II. წამებისა და სასტიკად მოპყრობისგან თავისუფლება 3

III. თვითნებური დაკავება 4

IV. გადაადგილების თავისუფლება 7

V. უფლება საკუთრებაზე 8

VI. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება 9

VII. დასკვნები 11

VIII. მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას *13*

I. შესავალი

ანგარიშის მიზნები და გამოყენებული მეთოდოლოგია

1. ეს გახლავთ საქართველოს საგარეო სამინისტროს მეოთხე კვარტალური ანგარიში, რომელიც 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდს მოიცავს და მიზნად ისახავს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შეფასებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდგომშიც განაგრძობს მსგავსი კვარტალური ანგარიშების მომზადებას. ამ საანგარიშო კამპანიის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, სახელმწიფოებისთვის, საერთაშორისო მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რეგულარული და განახლებული ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ.

2. რაც შეეხება გამოყენებულ მეთოდოლოგიას, ეს საანგარიშო კამპანია თავს უყრის და აფასებს არსებულ ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ღია წყაროებიდან, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევის სფეროში არსებული ვითარების შესახებ. მოხსენების ფორმატზე არსებული შეზღუდვების გამო, ანგარიში არ ისახავს მიზნად საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ყველა კონკრეტული დარღვევის შესახებ ინფორმაციის გაშუქებას; მისი მიზანია თავი მოუყაროს და შეაფასოს დარღვევის ყველაზე გახმაურებული შემთხვევები. გამოყენებული მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ფაქტების მოსაძიებელ ვიზიტს და არც ინტერვიუს ჩატარებას. ამგვარად, გამოყენებული მეთოდოლოგია ამ საანგარიშო კამპანიისთვის ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ახალი მონაცემების შეგროვებას და მოწოდებას.

საოკუპაციო ხელისუფლების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევაზე

3. საქართველოს ორი რეგიონის ტერიტორია - აფხაზეთი/საქართველო და ცხინვალის რეგიონი/საქართველო იკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაცია ცნო საერთაშორისო თანამეგობრობამ. რუსეთის ფედერაცია, როგორც საოკუპაციო ხელისუფლება ახორციელებს ოპერატიულ კონტროლს აფხაზეთზე/საქართველო და ცხინვალის რეგიონზე/საქართველო. ეს ორი რეგიონი ჯერ ისევ რჩება უცხოური სამხედრო ოკუპაციის ქვეშ და წარმოადგენს სახიფათო „შავ ხვრელებს“ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების ვერიფიცირების და დამრღვევთა გაკონტროლების მხრივ. საოკუპაციო ხელისუფლება, რომელიც ახორციელებს ოპერატიულ კონტროლს, ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებს ჰუმანიტარიების ჩათვლით ამ ტერიტორიებზე შესვლას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეწვია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ბატონი ნილს მუჟნიეკსი. ვიზიტის ერთერთი მიზანი იყოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ადგილზე მონიტორინგი. მიუხედავად მცდელობისა, მას არ დართეს აფხაზეთის/ საქართველო და ცხინვალის რეგიონის/საქართველო ოკუპირებულ რეგიონებში შესვლის უფლება.

საოკუპაციო ხაზი და მავთულხლართების მონტაჟი

4. აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ არსებული საოკუპაციო ხაზები საქართველოს მისი ორი ოკუპირებული ტერიტორიისგან გამოყოფს. 2009 წელს საოკუპაციო ხაზის კონტროლის განხორციელების გადასვლამ რუსეთის ფეესბეს თანამშრომლებზე კიდევ უფრო მეტად შეზღუდა ეთნიკური ქართველები: რუსეთი აგრძელებს შეზღუდვის გავრცელებას საზღვრის გადაკვეთის მსურველ ადგილობრივ მოსახლეობაზე იმ ადგილებშიც კი, სადაც ხაზი კვეთს მათ ხილის ბაღებს, საძოვრებს, სოფლის სამეურნეო მინდვრებს და სასაფლაოებს. 2013 წლის იანვრიდან რუსეთის საოკუპაციო ძალებმა გააძლიერეს მავთულხლართების დამონტაჟების და სხვა ხელოვნური წინაღობების აღმართვის პროცესი (რომელიც 2009 წელს დაიწყო) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზებზე. ამჟამად ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზზე განლაგებული ხელოვნური ბარიერების საერთო სიგრძე თითქმის 51 კილომეტრს შეადგენს, აფხაზეთის რეგიონში კი მავთულხლართები 12 კილომეტრზე მეტი სიგრძის მონაკვეთს ფარავენ. რუსეთის ფედერაციის მიერ მავთულხლართების მონტაჟი არღვევს ადამიანის ისეთ უფლებებს, როგორიცაა თავისუფლად გადაადგილება, საკუთრებაზე უფლება, საოჯახო ცხოვრების და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებები.

ე.წ. „პასრპორტიზაციის“ ახალი ტალღა

5. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „პასპორტიზაციის“ ახალი ტალღა გამალებული მიმდინარეობდა აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.[1] ეს პროცესი სავარაუდოდ 2016 წლის თებერვლისთვის უნდა დასრულდეს. ზემოთ აღნიშნული პროცესი გულისხმობს 300 000 ახალი „დოკუმენტის“ გაცემას: 250 000 შიდა „პასპორტის“ და 50 000 „მუდმივი ბინადრობის ნებართვის.“ ყველა 300 000 დოკუმენტი უკვე დამზადებულია რუსეთის ფედერაციაში „გოზნაკის“[2] მიერ. გალის რაიონის მაცხოვრებლებს ეშინიათ, რომ ე.წ. „პასპორტიზაცია“ კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს მათ მდგომარეობას.[3] ეჭვგარეშეა, რომ ე.წ. „პასპორტიზაციას“ შედეგად შეიძლება მოყვეს სიტუაცია, როდესაც ის ინდივიდები, რომლებსაც არ ექნებათ ახალი „ აფხაზური პასპორტები“ ან ე.წ. ახალი „ მუდმივ ბინადრობაზე“ ნებართვა წააწყდებიან კიდევ უფრო მეტ სირთულეებს მათი საკუთრებაზე უფლებისა და საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის მხრივ. 2015 წლის 3 ნოემბერს, ბატონმა ხაჯინბამ გამოაცხადა, რომ ის შეშფოთებულია საქართველოს მოქალაქეობის მქონე აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის დიდი რაოდენობით. ის ამბობს, რომ ცნობილი უნდა იყოს აფხაზეთში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ზუსტი რაოდენობა და რომ ისინი უნდა მოერგონ ადგილობრივ რეალობას და ეს არის მიზეზი იმისა, რომ უახლოეს მომავალში მიღებული იქნება დებულება „ უცხოელის სამართლებრივი სტატუსის“[4] შესახებ. აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს შეშფოთების ყველანაირი საფუძველი აქვთ ამგვარი პერსპექტივის გამო; „უცხოელის“ სტატუსს შეეძლება საკუთრებაზე მათი უფლების შეზღუდვა და ხელს შეუშლის მათ გადაადგილებას საოკუპაციო ხაზზე, უარეს შემთხვევაში კი გახდება ეთნიკური წმენდის კიდევ ერთი ტალღის საფუძველი.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა

6. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა საქართველოს მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში[5] ჩატარდა, კერძოდ 2015 წლის ნოემბერში. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (უპმ) გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნიკალური მექანიზმია და გულისხმობს გაეროს წევრ

---

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე <http://www.apsnypress.info/news/pervaya-partiya-novykh-pasportov-grazhdanina-abkhazii-pribyla-v-respubliku/>

[2] „გოზნაკი“ ფედერალური სახელმწიფოს უნიტარული კომპანია რუსეთის ფედერაციაში, რომელიც 100%-ით სახელმწიფო მფლობელობაშია და პასუხისმგებელია ბანკნოტების, მონეტების, მარკების, პირადობის ბარათების გამოშვებაზე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე <http://goznak.ru/en/about/today/>

[3] ყოველკვირეული პრესის მიმოხილვა აფხაზეთში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და მიმდინარე სიტაუციაზე, რომელიც მომზადებულია საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 12 -16 ოქტომბრის პერიოდში,გვ.5.

[4] ყოველკვირეული პრესის მიმოხილვა აფხაზეთში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და მიმდინარე სიტაუციაზე, რომელიც მომზადებულია საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 2-8 ნოემბრის პერიოდში, გვ. 4.

[5] 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერი

ქვეყნებში[6] არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის პერიოდულ მიმოხილვას. უპმ-ის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით არსებული ადამიანის უფლებათა სიტუაციის გამოსწორება; ამის მისაღწევად უპმ-ის პროცესი გულისხმობს სახელმწიფოების მიერ მათთან არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის არსებული სიტუაციის შეფასებას და ადამიანის უფლებათა დარღვევის განხილვას და გამოსწორებას ყველგან, სადაც ის ფიქსირდება[7].

7. უპმ-ის მეორე ციკლის ფარგლებში, საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა გაიმართა 2015 წლის 10 ნოემბერს ადამიანის უფლებათა საბჭოს 23-ე სესიაზე. როგორც უპმ-ის მიმოხილვის ნაწილი საქართველოს მთავრობამ მოამზადა და წარადგინა ეროვნული ანგარიში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მიმოხილვისას 2015 წლის 10 ნოემბერს 12 სახელმწიფოს (ავსტრია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ა.შ.შ., მოლდავეთი, პოლონეთი, კოსტა-რიკა, უკრაინა და სლოვენია) წარმომადგენელი სიტყვით გამოსვლისას შეეხო აფხაზეთში/საქართველო და ცხინვალის რეგიონში/საქართველო არსებულ ადამიანის უფლებების დარღვევას და ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის ამ რეგიონებში შეღწევის აუცილებლობას. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას, რომ სამმა წევრმა სახელმწიფომ - ლიტვა, უკრაინა და მოლდავეთი უპმ რეკომენდაციები მისცა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ჩართულობის გაძლიერებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის შეღწევა აფხაზეთში/საქართველო და ცხინვალის რეგიონში/საქართველო.[8] საქართველოს მთავრობამ სხვა რეკომენდაციებთან ერთად ეს სამი რეკომენდაციაც მიიღო.

II. წამებისა და სასტიკად მოპყრობისგან თავისუფლება

8. აღშანიშნავია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგ საქრთველოს ოკუპირებულ რეგიონებში დაფიქსირებულია წამებისა და სასტიკად მოპყრობის უამრავი შემთხვევა.

---

[6] ძირითადი ფაქტები უპმ-ს შესახებ. „ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/BasicFacts.aspx>

[7] ძირითადი ფაქტები უპმ-ის შესახებ. „ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/BasicFacts.aspx>

[8] იხილე საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის ანგარიშის გეგმა.ადამიანის უფლებათა საბჭო,23-ე სესია,ჟენევა. 2015 წლის 2-13 ნოემბერი.

9. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კერძოდ კი 2015 წლის 6 ნოემბერს, უმაღლესი კომისრის გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისმა (OHCHR) გამოაქვეყნა წამების და სხვა სასტიკად, არაადამიანურად და დამამცირებლად მოპყრობის ან სასჯელის შესახებ საგანგებო მომხსენებლის ბატონი ხუან მენდესის ანგარიში საქართველოში მის მიერ განხორციელებულ მისიაზე. ეს ანგარიში აზუსტებს საგანგებო მომხსენებლის მცდელობას წვეოდა აფხაზეთს/საქართველო და ცხინვალის რეგიონს/საქრთველო, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებზე კონტროლის განმახორციელებელმა ხელისუფლებამ მას უარი უთხრა ამ რეგიონებში შესვლაზე.[9]

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წამებისა და სასტიკად მოპყრობის კუთხით უფლებების დარღვევის რამოდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. გთავაზობთ რამოდენიმე შემთხვევას, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოპოვებული იქნა საქართველოს მედიაში და სხვა ღია წყაროებიდან.

11. 2015 წლის 7 ოქტომბერს გალის რაიონის „ქვემო ზონის“ რამოდენიმე სოფელს თავს დაესხა ე.წ „საგანგებო ძალები“. გალის რაიონის სოფელ ოტობაიში დააკავეს ორი ახალგაზრდა და გადაიყვანეს ე.წ „პოლიციის განყოფილებაში“. დაკავებისას ერთ - ერთი ცემეს.[10]

12. 2015 წლის 8 ოქტომებრს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მაცხოვრებელი სასტიკად ცემეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საოკუპაციო ხაზის ე.წ „არალეგალურად გადაკვეთისთვის“. მოგვიანებით მსხვერპლი სოფლის საავადმყოფოში გადაიყვანეს სამედიცინო დამხარების გასაწევად. საავადმყოფოში მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეფასდა, როგორც მძიმე.[11]

13. 2015 წლის 6 ნოემბერს გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მაცხოვრებელმა გადაკვეთა საოკუპაციო ხაზი იმ დროს, როდესაც გამშვები პუნქტი დაკეტილი იყო. მაცხოვრებელი ბრუნდებოდა ზუგდიდის საავადმყოფოდან, რომელიც მდებარეობს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მაცხოვრებელი დააკავეს და სასტიკად ცემეს ეფესბეს თანამშრმლებმა ე.წ. “საზღვრის არალეგალურად გადაკვეთისთვის“. ცემის მერე, მსხვერპლი გაიტაცეს

---

[9] 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერი.

[10] წამებასა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ და შეურაცხმყოფელ მოპყრობაზე ან სასჯელზე გაეროს საგანგებო მომხსენებლის ანგარიში საქართველოში მის მიერ განხორციელებულ მისიაზე. ადამიანის უფლებათა საბჭო, 23-ე სესია. 2015 წლის 6 ნოემბერი, პარაგრაფი 4. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < http://www.ohchr.org/EN/Issues/Torture/SRTorture/Pages/SRTortureIndex.aspx>

[11]ყოველკვირეული პრესის მიმოხილვა აფხაზეთში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და მიმდინარე სიტაუციაზე, რომელიც მომზადებული საქართველოს აფხაზეთის ავტომონოიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 5 -11 ოქტომბრის პერიოდში,გვ.8.

რუსეთის ეფესებეს იგივე თანამშრომლებმა. რამოდენიმე დღის განმავლობაში მსხვერპლის ადგილსამყოფელი არ იყო ცნობილი. მოწმეების ჩვენების თანახმად, იმ ადგილას, სადაც მსხვერპლი ცემეს, ჩანდა სისხლის ლაქები.[12]

III. თვითნებური დაკავება

14. 2009 – 2015 წლის მარტის განმავლობაში სულ 2481 ადამიანი იქნა დაკავებული რუსეთის ეფესბეს თანამშრომელბის მიერ საზღვრის ე.წ. „არალეგალურად გადაკვეთისთვის"; 1641 ადამიანი დააკავეს საოკუპაციო ხაზის გადაკვეთისთვის აფხაზეთის რეგიონში, 840 ადამიანი ცხინვალის რეგიონში.[13] 2015 წელს 503 ადამიანი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ." არალეგალურად გადაკვეთისთვის"; 341 ადამიანი დააკავეს აფხაზეთის რეგიონში 162 ადამიანი ცხინვალის რეგიონში.[14] პრეს - სამსახურის ინფორმაციის თანახმად რუსეთის ეფესბეს სასაზღვრო ჯარების სამხედროების მიერ 2015 წელს საქართველო - აფხაზეთის საზღვრის ე.წ."არალეგალურად გადაკვეთის"გამო დაკავებული იქნა 2400 ადამიანი.[15]

15. რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები რეგულარულად ახორციელებენ თვითნებურ დაკავებას საოკუპაციო ხაზის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთისთვის". უმეტეს შემთხვევაში ამას მოყვება დაჯარიმება და შემდგომ განთავისუფლება. დაკავების პერიოდი მოიცავს რამოდენიმე დღეს ან თვეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი რამოდენიმე წელსაც. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში[16] თვითნებური დაკავების უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა ოკუპირებულ რეგიონებში. მაგალითად, ვასახელებთ ქართული მედიიდან და სხვა ღია წყაროებიდან მოპოვებულ კონკრეტულ შემთხვევებს.

16. 2015 წლის 13 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ წითელუბნის ორი მწყემსი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. „ უკანონოდ

---

[12] ოკუპანტებმა სასტიკად ცემეს გალის მაცხოვრებელი." აფხაზეთი ინფო". 2015 წლის 8 ოქტომბერი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://abkhazeti.info/abkhazia/2014/1444365093.php>

[13] ექსკლუზივი: რუსმა სამხედროებმა ქართველი ჯერ ცემეს და მერე გაიტაცეს. „ თაიმერი", 2015 წლის 8 ნოემბერი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.timer.ge/eqskluzivirusma-samkhedroebma-qarthveli-jer-sastikad-scemes-shemdeg-ki-gaitaces/>

[14] 2015 წელს რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://idfi.ge/en/georgian-citizens-detained-by-russian-occupational-troops-in-2015>

[15] 2015 წელს რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://idfi.ge/en/georgian-citizens-detained-by-russian-occupational-troops-in-2015>

[16] 2015 წელს რუსეთის სასაზღვრო ჯარების სამხედროებმა საქართველო-აფხაზეთის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის 2 400 ადამიანი დააკავეს. 2015 წლის 22 დეკემბერი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://abkhazinform.com/item/2831-s-nachala-2015-goda-rossijskie-pogranichniki-zaderzhali-bolee-2400-chelovek-za-narushenie-pravil-peresecheniya-gruzino-abkhazskoj-granitsy>

გადაკვეთისთვის“. მწყემსები იმყოფებოდნენ საოკუპაციო ხაზის გაყოლებით მდებარე საძოვრებზე; რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები შევიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დააკავეს ისინი. მათი ოჯახის წევრების ინფორმაციის თანახმად, მწყემსები ყოველ დღე იმყოფებოდნენ ამ ტერიტორიაზე, ვინაიდან ის კონტროლდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ.[17]

17. 2015 წლის 17 ოქტომბერს ქარელის რაიონის სოფელ დვანის მაცხოვრებლები დააკავეს რუსეთის ეფესებეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთისთვის“. ორი მამაკაცი იღებდა მოსავალს საკუთარ ხილის ბაღებში, როდესაც ისინი რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა დააკავეს. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის თანახმად დაკავებულებს არ გადაუკვეთიათ საოკუპაციო ხაზი; რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები შევიდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დააკავეს ისინი.[18]

18. 2015 წლის 21 ოქტომბერს ქალბატონი და მისი სიძე ორივე ქარელის რაიონის სოფელ არწევის მაცხოვრებელია, დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან. ქალბატონის სიძის სახლი მდებარეობს იგივე სოფელში, ოღონდ საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს. ქალბატონმა თავის სიძეს მავთულხლართის მეორე მხარეს მიაწოდა საოჯახო ნივთი, რაც მათი დაკავების მიზეზი გახდა.[19]

19. 2015 წლის 23 ოქტომბერს კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოს სამი მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთისთვის“. სამივე მათგანი საქონლის საძოვარზე იმყოფებოდა. მოწმეების ინფორმაციის თანახმად, დაკავებულებს არ გადაუკვეთიათ საოკუპაციო ხაზი, მაგრამ რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები შეიჭრნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დააკავეს ისინი.[20]

20. 2015 წლის 20 ოქტომბერს რუსეთის ეფესბეს თანამშრომელბმა გალის რაიონის სოფელ თაგილონში დააკავეს ონლაინ მედიის სამი ჟურნალისტი, საზღვრის ე.წ.“უკანონოდ გადაკვეთისთვის“. მოწმეთა ჩვენების თანახმად ჟურნალისტები ეწვიენ სოფელ თაგილონს ადგილობრივთა სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად; ისინი ესაუბრებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. უეცრად რუსეთის ფედერაციის ეფესბეს თანამშრომლები მოვიდნენ დაჯავშნული

---

[17] 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერი

[18] წითელუბნის ტერიტორიაზე დაკავებული ორი მწყემსი . “IPN”. 2015 წლის 15 ოქტომებრი. იხილე:<http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/349400-sofel-tsithelubnis-teritoriaze-ori-mtsyemsi-daakaves.html>

[19]დვანში კიდევ ორი ქართველი შეიპყრეს. „პირველი არხი“. 2015 წლის 17 ოქტომბერი. იხილე <http://1tv.ge/ge/news/view/109297.html>

[20] მდგომარეობა საოკუპაციო ხაზზე: დაკავებულია არწევის ორი მაცხოვრებელი.“ პირველი არხი“. 2015 წლის 1 ოქტომბერი. იხილე: <http://1tv.ge/ge/news/view/109559.html>

სამხედრო მანქანით და სამივე ჟურნალისტი დააკავეს. ჟურნალისტები რუსეთის სამხედრო ბაზის მიმართულებით წაიყვანეს.[21]

21. 2015 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მოქალაქე დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე საზღვრის ე.წ."უკანონოდ გადაკვეთისთვის". დაკავებულს წარედგინა სისხლის სამართლის ბრალდება.[22]

22. 2015 წლის 20 ნოემბერს მამა -შვილი ორივე გორის რაიონის სოფელი კერეს მაცხოვრებლები დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთის" გამო. ორივე საქონლისთვის განკუთვნილ საძოვარზე იმყოფებოდა. ადგილობრივი მოსახლოების ინფორმაციის თანახმად მათ არ გადაუკვეთიათ საოკუპაციო ხაზი, არამედ რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები შეიჭრნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დააკავეს ისინი.[23]
23.2015 წლის 23 ნოემბერს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ აძვის სამი მაცხოვრებელი დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთის" გამო. ეს სამი ადამიანი დააკავეს მაშინ, როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ადგილობრივ ეკლესიას რელიგიური რიტუალის აღსასრულებლად. სამივე დაკავებული წაიყვანეს ცხინვალის მიმართულებით. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა გააფრთხილეს მიმდებარე სოფლების ყველა მაცხოვრებელი არ მიახლოვებოდნენ ეკლესიას საოკუპაციო ხაზის იქ არსებობის გამო. ადგილობრივი მოსახლეობა იტყობინებოდა, რომ არ არსებობს მავთულხლართი, რომელიც გამოყოფს ეკლესიას ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან და დამონტაჟებული ნიშნულები წარწერით „სახელმწიფო საზღვარი" პირდაპირ არ უკრძალავს მოსახლეობას ეკლესიაში და მის ტერიტორიაზე შესვლას.[24]

24. 2015 წლის 22 დეკემბერს, ქარელის რაიონის სოფელ ჭვრინიშის მაცხოვრებელი ორი ხანშიშესული ქალბატონი, ერთერთი მათგანი 80 წლის, დააკავეს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთისთვის".

---

[21] სოფელ საკორინთლოში სამი ადამიანი დააკავეს."IPN". 2015 წლის 23 ოქტომბერი. იხილე: <http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/351029-sakorinthlos-ganapiras-sheiaraghebulma-pirebma-sami-adgilobrivi-daakaves.html?ar=A>

[22] გალის რაიონის სოფელ თაგილონში ონლაინ მედიის სამი ჟურნალისტი დააკავეს. "Smo News". იხილე: http://www.smoge.org/

[23] საქართველოს მოქალაქე დაკავებულია ოკუპირებულ აფხაზეთში. "Kvira". 2015 წლის 2 ნოემბერი. იხილე: http://kvira.ge/%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5/>

[24] დააკავეს მამა-შვილი. „რადიო თავისუფლება". 2015 წლის 20 ნოემბერი. იხილე: <http://www.radiotavisupleba.ge/content/dakaveba-saokupatsio-khaztan/27376806.html>

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის თანახმად, დაკავება მოხდა საოკუპაციო ხაზის მახლობლად.[25]

25. 2015 წლის 28 დეკემბერს, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საზღვრის ე.წ. უკანონოდ გადაკვეთისთვის დააკავეს 20 ქართველი ეროვნების ადამიანი და მათ შორის 9 წლის ბავშვი. მიუხედავად არა ერთი თხოვნისა, მამას უარი უთხრეს დაკავებული ბავშვის ნახვაზე.[26]

IV. გადაადგილების თავისუფლება

26. რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები რეგულარულად აკავებენ ხალხს საზღვრის ე.წ. „უკანონოდ გადაკვეთისთვის“, მაშინ როდესაც გამშვები სასაზღვრო პუნქტები მხოლოდ იმ ინდივიდებს აძლევენ საზღვრის გადაკვეთის უფლებას, რომლებიც ფლობენ იმ ტიპის „დოკუმენტს“, რომელიც აღიარებულია საოკუპაციო ხელისუფლების მიერ. ამ „დოკუმენტების“ ვალიდობა კი ეფუძნება საეჭვო კრიტერიუმს.[27] საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილების უფლების დარღვევის არა ერთ შემთხვევა დაფიქსირდა.

27. პრეს-სამასახურის ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ეფესბეს სასაზღვრო ჯარის სამხედროებმა 2015 წლის განმავლობაში, რაც მოიცავს საანგარიშო პერიოდი სამ თვეს[28], დააკავეს 7000 ადამიანი,რომელთაც სურდათ ე.წ. „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის“ გადაკვეთა, „სათანადო დოკუმენტების გარეშე.“ ნებადართული „დოკუმენტების“ სია გამოქვეყნებული იქნა 2015 წლის 15 ივნისს რუსეთის ეფესბეს სასაზღვრო ჯარის თანამშრომლების მიერ რუსულ ენაზე.[29] იმათ ვინც ვერ შეძლებს დასახელებული დოკუმენტების წარმოდგენას ან ჩვენებას გამშვებ პუნქტზე სამუშაო საათების გასვლის შემდეგ, უარს ეუბნებიან საზღვრის გადაკვეთაზე, რაც ხშირად პრობლემას უქმნის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მსურველ ადგილობრივ მოსახლეობას ბავშვებისა და ქალბატონების ჩათვლით.

28. რუსეთის ფედერაციის მიერ მავთულხლართების დამონტაჟების პროცესი საოკუოპაციო ხაზზე არღვევს ადამიანის ისეთ უფლებას, როგორიცაა თავისუფლად

---

[25]აძვის მახლობლად სამი ადამიანია დაკავებული. “IPN”. 2015 წლის ნოემბერი. იხილე: <http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/355430-sofel-adzvthan-sami-piri-daakaves.html?ar=A>

[26] საოკუპაციო ხაზიდან გატაცებული ორი ხანშიშესული ადამიანი ჯერ ისევ დაკავებულია. „პირველი არხი“. 2015 წლის დეკემბერი. იხილე: at <http://1tv.ge/ge/news/view/113785.html>

[27]ოკუპანტებმა სოფელ ნაბაკევში 20 ქართველი დააკავეს. „აფხაზეთის ინფო“. 2015 წლის 28 დეკემბერი. იხილე: <http://abkhazeti.info/abkhazia/2014/1451371603.php>; *Russian occupants detained 20 Georgians, including a 9-year-old boy in Nabakevi.* “Rustavi 2”, 29 December 2015. Available at <http://rustavi2.com/en/news/35404>

[28] გაერთიანებული ანგარიში საქართველოს კონფლიქტის თაობაზე, ევროპის საბჭო (2014 წლის ნოემბერი- 2015 წლის მარტი), 2015 წლის აპრილი SG/Inf (2015) 18, პარაგრაფი 44.

[29]2015 წლის ოქტომბერ-დკემბერი.
იხილე: <http://abkhazinform.com/item/1356-pogranuppravlenie-fsb-rf-v-abkhaziiinformiruet-grazhdan-o-dokumentakh-pozvolyayushchikhperesekat-gruzino-abkhazs>

გადაადგილების უფლება. საქართველოში ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიის (EUMM) ხელმძღვანელი ბატონი კეშტუტის ჯანსკაუსკასი 2015 წლის 3-4 ნოემბერს სიტყვით გამოვიდა თბილისში გამართულ ევროპის საბჭოს და საქართველოს საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტის პირველ სხდომაზე. ბატონი ჯანსკაუსკასის თანახმად, აფხაზეთის რეგიონში მავთულხლართების მონტაჟი გაორმაგდა, რათა გამკაცრდეს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის არაკონტროლირებად სეგმენტებზე. ბატონი ჯანსკაუსკასი აცხადებს, რომ მომავალში შესაძლოა რუსეთის ფედერაციის მიერ სხვადასხვა რუკის ინტერპრეტაციამ გარკვეული სირთულეები შექმნას. ბატონი ჯანსკაუსკასი აღნიშნავს,რომ პრობლემები იქმნება მაშინ, როდესაც სკოლაში მიმავალ მოსწავლეებს ხელს უშლიან „საზღვრის“ გადაკვეთაში.[30]

29. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან 5 კილომეტრში მდებარე სოფელ რუხში საქართველოს მთავრობის მიერ მრავალფუნქციური სამედიცინო ცენტრის მშენებლობამ აფხაზეთის ხელისუფლების შეშფოთება გამოიწვია და გახდა ეთნიკური ქართველებისთვის სამომავლოდ სავიზო რეჟიმის შემოღების ან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის დაკეტვის საბაბი.[31] უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამას ახორციელებს. არსებული მონაცემების თანახმად, აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებმა ასობით ადამიანმა ისარგებლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო სისტემით.

30. 2015 წლის 23 ნოემბერს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ აძვის მაცხოვრებლებს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა ეკლესიაში მისვლა აუკრძალეს. რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა გააფრთხილეს მოსახლეობა არ მიახლოვებოდნენ ეკლესიას იმის გამო, რომ ის საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს. სოფლის მოსახლეობა ადრე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დადიოდა ამ ეკლესიაში. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის თანახმად, სოფლელების ჯგუფმა ეკლესიაში მისვლა გადაწყვიტა, მაგრამ ნიღბოსანმა ეფესბეს თანამშრომლებმა შეაჩერეს ისინი და აიძულეს უკან დაბრუნებულიყვნენ.[32]

V. საკუთრებაზე უფლება

---

[30] 2015 წელს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საქართველო-აფხაზეთი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის 2400 ადამიანი დააკავეს. 2015 წლის 24 დეკემბერი. იხილე: <http://abkhazinform.com/item/2831-s-nachala-2015-goda-rossijskie-pogranichniki-zaderzhali-bolee-2400-chelovek-za-narushenie-pravil-peresecheniya-gruzino-abkhazskoj-granitsy> Available at <http://www.livepress.ge/ka/site/news/12927>

[31] იხილე: <http://abkhazinform.com/item/1356-pogranuppravlenie-fsb-rf-v-abkhaziiinformiruet-grazhdan-o-dokumentakh-pozvolyayushchikhperesekat-gruzino-abkhazs>

[32] ე.წ.სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სამხედრო ნაწილების მომზადება დღეს უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე ადრე. „პირველი“. 2015 წლის 4 ნოემბერი. იხილე: <http://pia.ge/show_news.php?id=53073>

31. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი სახლებისა და კერძო საკუთრების საკითხი ჯერაც გადაუჭრელი რჩება. წლების მანძილზე, საკუთრებაზე უფლება იყო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სისტემატური და მძიმე დარღვევების საგანი; ეთნიკური ქართველების ასობით სახლი შეგნებულად დაწვეს ან დაანგრიეს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მერე. საკუთრებაზე უფლების კუთხით არებული პრობლემა 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერში უცვლელი დარჩა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არა ერთი წყაროს თანახმად, გრძელდებოდა საკუთრებაზე უფლების დარღვევის შემთხვევები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართული მედიიდან და სხვა ღია წყაროებიდან.

32. რუსეთის ეფესბეს სასაზღვრო ჯარის პრეს-სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის განმავლობაში, რაც საანგარიშო პერიოდის სამ თვეს მოიცავს[33], რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა 1 100 კილოგრამი თხილი ჩამოართვეს ე.წ „აფხაზეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთ“.[34] საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები აგროვებდნენ ე.წ. „ საბაჟო გადასახადს“ საოკუპაციო ხაზზე გადაზიდულ თხილზე.[35] უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის თხილი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და კონკრეტულად კი გალის რაიონის ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობისთვის ის შემოსავლის ძირითადი წყაროა. აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობა ცდილობს გადაკვეთოს საოკუპაციო ხაზი იმისთვის, რომ გადაიტანოს და ზუგდიდში ბითუმად გაყიდოს თხილი, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივ ბაზარზე თხილის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე ოკუპირებული რეგიონის ბაზრებზე.

33. 2015 წლის 23 ოქტომბერს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლები შევიდნენ კასპის სოფელ საკორინთლოს საძოვრებზე, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფება. რუსეთის ეფესბეს თანამშროლებმა დააკავეს სამი ადგილობრივი მაცხოვრებელი და სოფლის რამოდენიმე მაცხოვრებლის კუთვნილი 10 სული საქონელი გაიტაცეს.[36]

34. 2015 წლის 31 დეკემბერს, რუსეთის სამხედროებმა დამატებითი სამხედრო ნაწილი შეიყვანეს გალში საოკუპაციო ხაზის გასაძლიერებლად, რომელიც გალის

---

[33] თემურ ნარდაია არ გამორიცხავს საქართველო-აფხაზეთის საზღვრის დაკეტვას. “Nuzhnaya Gazeta“. 2015 წლის 9 ნოემბერი. იხილე:<http://abh-n.ru/timur-nadaraya-ne-isklyuchaet-polnogo-zakrytiya-granicy-po-reke-ingur/>

[34] აძვის მახლობლად სამი ადამიანია დაკავებული.“IPN”. 2015 წლის 23 ნოემბერი. იხილე: <http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/355430-sofel-adzvthan-sami-piri-daakaves.html?ar=A>

[35] 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერი

[36] 2015 წელს რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებმა საქართველო-აფხაზეთი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის 2400 ადამიანი დააკავეს. 2015 წლის 24 დეკემბერი. იხილე: <http://abkhazinform.com/item/2831-s-nachala-2015-goda-rossijskie-pogranichniki-zaderzhali-bolee-2400-chelovek-za-narushenie-pravil-peresecheniya-gruzino-abkhazskoj-granitsy> Available at <http://www.livepress.ge/ka/site/news/12927>

რაიონის „ზემო ზონის“ და „ქვემო ზონის“ სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახლად შემოსულ რუსეთის ეფესბეს თანამშრომლებს იმ ქართველების სია აქვთ, რომლებიც სარგებლობენ ქართული მობილური ქსელებით და მათ ამ ოჯახებიდან მობილური ტელეფონები ამოიღეს. გალის მაცხოვრებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ადგილზე არსებული ვითარება გაუსაძლისია. ყველა ადგილობრივი მაცხოვრებელი, რომელსაც ზუგდიდის ბაზარზე გადაქონდა პროდუქტი, დააკავეს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებმა და ჩამოართვეს მთელი პროდუქცია. ზოგიერთი დაკავებული მოგვიანებით გაანთავისუფლეს და რუსეთის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს.[37]

VI. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება

35. გალის რაიონში 31 სკოლაა. 2014-2015 აკადემიური წლის ბოლოსთვის ამ სკოლებში 4, 459 მოსწავლე იყო და 918 თანაშრომელი. 4, 459 მოსწავლიდან 4, 351, ანუ 97.57 პროცენტი იყვნენ ეთნიკური ქართველები, ხოლო 918 თანამშრომლიდან 91.78 პროცენტი იყო ეთნიკურად ქართველი.[38] 31 სკოლიდან მხოლოდ 11 სკოლას,რომლებიც გალის რაიონის“ქვემო ზონაში“ მდებარეობენ ქონდათ ქართული სკოლების სტატუსი 2014-2015 აკადემიური წლის ბოლომდე და საგნები ქართულ ენაზე ისწავლებოდა.[39] რაც შეეხება გალის რაიონის დანარჩენ 20 სკოლას, რამოდენიმე წლის წინ ყველა მათგანი რუსულ სკოლად [40] გადაკეთდა.

36. 2015-2016 აკადემიური წლის სექტემბრის დასაწყისიდან გალის რაიონის ამ 11 სკოლის ცხრილმა ძირეული ცვლილებები განიცადა, კერძოდ კი ყველა საგანი ისწავლება რუსულ ენაზე პირველ ოთხ კლასში, ანუ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში.[41] თუ ამგვარი პოლიტიკა 6 წლის მანძილზე გაგრძელდება, ეს გამოიწვევს ქართული პროგრამის რუსულით შეცვლას გალის რაიონის „ქვემო ზონის“ 11-ვე სკოლაში. რუსული პროგრამა ნიშნავს იმას, რომ სწავლებისთვის გამოყენებული იქნება რუსეთის განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული და

---

[37] იხილე: <http://www.livepress.ge/ka/site/news/12927>

[38] კასპის რაიონიდან ოკუპანტებმა გაიტაცეს 3 ადამიანი და რუსმა ოკუპანტებმა დამატებითი საჯარისო ნაწილები შეიყვანეს გალში ე.წ. საზღვრის კონტროლისთვის. 2015 წლის 31 დეკემბერი. იხილე:<http://www.newposts.ge/?id=95969>

[39]რუსმა ოკუპანტებმა დამატებითი საჯარისო ნაწილები შეიყვანეს გალში ე/წ/ საზღვრის კონტროლისთვის. 2015 წლის 31 დეკემბერი. იხილე:<http://www.newposts.ge/?id=95969>

[40]ყოველკვირეული პრესის მიმოხილვა აფხაზეთში არსებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და მიმდინარე მოვლენებზე. მომზადებულია საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ, 2015 წლის 17 ივლისი-2 აგვისტოს პერიოდში.

[41] შესაძლებლის სფერო - გზების ძიება ქართულ-აფხაზურ კონტექსტში:გალის რეგიონის მოსახლეობა. შერიგების რესურსები. 2015 წლის ივლისი. გვ.10. იხილე: < http://www.c-r.org/downloads/CR_The-Realm-of-the-possible_Gali_43_webEn.pdf >; Report of the Year 2014 of the Public Defender of Georgia on the Situation of Rights of the Population Affected by the Conflicts, 5 June 2015, page 26. Available at <http://www.ombudsman.ge/en/news/reports-on-the-human-rights-situation-of-conflict-affected-population-and-internally-displaced-persons-in-georgia.page>

რუსეთის ფედერაციაში დაბეჭდილი რუსული სახელმძღვანელოები.[42] ამ კლასებში ქართული ენის, როგორც უცხო ენის შესასწავლად მხოლოდ კვირაში 1 საათია გამოყოფილი.[43]

37. 2015 წლის 20 ოქტომებრს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად გალში მძიმე ვითარებაა შექმნილი და კერძოდ კი ბავშვებს აიძულებენ რუსული ენის სწავლას; გალის რაიონის „ქვემო ზონის“ 11 სკოლის მოსწავლეებს უჭირთ რუსულ ენაზე საგნების სწავლა. სკოლის მოსწავლეების მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იმის გამო, რომ ეს სკოლები 2014-2015 აკადემიურ წლამდე ქართული სკოლები იყო, განსაკუთრებით მესამე და მეოთხე კლასის ბაშვებს რუსული ენის არასაკმარისი ცოდნის გამო უჭირთ რუსულ ენაზე საგნების სწავლა.[44] მეათე კლასელებთან დაკავშირებითაც არსებობს პრობლემები: კერძოდ კი 2016 წელს დამამთავრებელი კლასის გამოცდები რუსულ ენაზე ჩატარდება.[45]
38. რუსულ ენაზე საგნების შესწავლასთან წარმოქმნილი სირთულეების გამო არა ერთმა მშობელმა მიიღო გადაწყვეტილება არ ატარონ ბაშვები რუსულ პროგრამაზე გადაყვანილ სკოლებში.[46] ზოგიერთი ოჯახი იძულებული გახდა გადასულიყო გალის რაიონიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმისთის, რომ ბავშვები ქართულ სკოლაში ატარონ.[47] 2014-2015 აკადემიური წლის დამთავრების შემდეგ 55 სკოლის მოსწავლემ შეიცვალა სკოლა და გადავიდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კოტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში; ეს ბავშვები ძირითადად მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები

---

[42] საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 აკადემიური წლების ახალი ვითარება და გამოწვევები. საქართველოს სახალხო დამცველი, 2015 წლის ოქტომბერი გვ.5 იხილე: <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUNFE3RndlaXc2dFU/view?pref=2&pli=1>

[43] საქართველოს სახალხო დამცველის საგანგებო მოხსენება - განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 აკადემიური წლების ახალი ვითარება და გამოწვევები. საქართველოს სახალხო დამცველი, 2015 წლის ოქტომბერი გვ.4 იხილე: <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUNFE3RndlaXc2dFU/view?pref=2&pli=1>

[44] გალში ბავშვებს აიძულებენ რუსულ ენაზე მიიღონ განათლება. „თაიმერი“, 2015 წლის 20 ოქტომბერი. იხილე: <http://www.timer.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%94-%E1%83%91/>

[45] აფხაზეთში ქართველ მასწავლებლებს და სკოლის მოსწავლეებს რუსულ ენაზე მოუხდებათ გამოცდების ჩაბარება.2015წლის 6 ნოემბერი.იხილე: <http://www.newposts.ge/?l=G&id=91376-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98,%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

[46] ყოველკვირეული პრეს მიმოხილვა აფხაზეთში არსებული მიმდინარე ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. მომზადებულია საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურიდიული დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 9 -15 ნომებრის პერიოდში. გვ. 7.

[47] ქართველებმა დაიწყეს გალის დატოვება. „მარშალ პრესი“. 2015 წლის 13 ნოემბერი. იხილე: <http://marshalpress.ge/?p=15176>

არიან.[48] ზოგიერთი მშობლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვებმა ვერ შეძლეს უცხო ენაზე (რუსულ ენაზე) მათემატიკის და ბუნების ათვისება.[49]

39. 2015 წლის 6 ნოემბერს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადაწყდა გალის რაიონის ყველა ქართულენოვან მასწავლებელს იძულებით ჩაებარებინა გამოცდა რუსულ ენაში; იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლები ვერ ჩააბარებედნენ გამოცდას, ისინი უნდა დაეთხოვათ.[50] ზოგიერთი ცნობის თანახმად, გალის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები რეგულარული და თვითნებური კონტროლის ობიექტს წარმოადგენენ; მათ ჩანთებს ამოწმებენ, რათა სკოლაში ქართულ ენაზე არსებული მასალის შემოტანა არ დაუშვან[51].

VII. დასკვნები

40. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი სიტუაცია წამებისა და სასტიკად მოპყრობის კუთხით და საანგარიშო პერიოდში მოწოდებული მაგალითები შეადგენენ წამებისგან და სასტიკად მოპყრობისგან თავისუფლების უფლების დარღვევას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების 7-ე მუხლის თანახმად; ასევე ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის 5-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 3-ე და ეუთოს ვალდებულებების დარღვევას.[52]

41. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღწერილი სიტუაცია თვითნებური დაკავების კუთხით და საანგარიშო პერიოდში მოწოდებული მაგალითები წარმოადგენენ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმების 9-ე, ადამიანის უნივერსალურ უფლებათა დეკლარაციის

---

[48] ქართველებმა დაიწყეს გალის დატოვება. „მარშალ პრესი“. 2015 წლის 13 ნოემბერი. იხილე: <http://marshalpress.ge/?p=15176>

[49] ქართველებმა დაიწყეს გალის დატოვება. „მარშალ პრესი“. 2015 წლის 13 ნოემბერი. იხილე: <http://marshalpress.ge/?p=15176>

[50] აფხაზეთში ქართველი მასწავლებლები და სკოლის მოსწავლეები ჩაბარებენ გამოცდას რუსულ ენაში. 2015 წლის ნოემბერი.იხილე:http://www.newposts.ge/?l=G&id=91376-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98,%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

[51] ქართველებმა დაიწყეს გალის დატოვება. „მარშალ პრესი“. 2015 წლის 13 ნოემბერი. იხილე: <http://marshalpress.ge/?p=15176>

[52] ვენის შემაჯამებელი დოკუმენტი (1989) კრძალავს წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელის ფორმას. პარაგრაფი 23.4; პარიზის დოკუმენტი (1990) აგრეთვე კრძალავს წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ მოპრყობას და სასჯელის ფორმას; ევროპის უსაფრთხოების სტამბულის ქარტია იღებს ვალდებულებას „ აღმოფხვრას წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და შეურაცხმყოფელი მოპყრობა ეუთოს ტერიტორიაზე.“ პარაგრაფი 21.

3-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 5-ე და ეუთოს შესაბამისი ვალდებულებების დარღვევას.[53]

42. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი სიტუაცია გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით და საანგარიშო პერიოდში მოწოდებული მაგალითები წარმოადგენენ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმების 12-ე, ადამიანის უნივერსალური უფლებათა დეკლარაციის 13-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 4-ე პროტოკოლის 2-ე მუხლის და ეუთოს შესაბამისი ვალდებულებების დარღვევას.[54]

43. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი სიტუაცია საკუთრებაზე უფლებასთან მიმართებაში და საანგარიშო პერიოდში მოწოდებული მაგალითები წარმოადგენენ საკუთრების უფლების დარღვევას და კერძოდ ადამიანის უნივერსალური უფლებათა დეკლარაციის 17-ე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 1-ი პროტოკოლის 1-ი მუხლის და ეუთოს შესაბამისი ვალდებულებების დარღვევას.[55]

44. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აღწერილი ვითარება მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებასთან მიმართებაში[56], ხოლო საანგარიშო პერიოდში მოწოდებული მაგალითები წარმოადგენენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დარღვევას ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის 26-ე მუხლის (წაკითხული თანადროულად 2-ე

---

[53] ვენის შემაჯამებელი დოკუმენტი (1989) ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება არავის თვითნებურად დაპატიმრება, დაკავება ან გადასახლება. პარაგრაფი 23.1; მოსკოვის დოკუმენტის თანახმად (1991) „ არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისუფლება, გარდა კანონით დადგენილი პროცედურების თანახმად.“ პარაგრაფი 23.1 (i).

[54] მოსკოვის დოკუმენტის (1991) 33-ე პარაგრაფის თანახმად, ეუთოს მონაწილე ქვეყნები ვალდებულები არიან მოხსნან ყველანაირი შეზღუდვა სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში მოგზაურობაზე და მუდმივად ცხოვრების უფლებაზე სახელმწიფოს ფარგლებში , იმათთან მიმართებაში, ვისაც ეს უფლება აქვს მინიჭებული. ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის 20-ე პარაგრაფის თანახმად (1989) , ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულები არიან უზრუნველყონ ყველა ადამიანის გადაადგილების თავისუფლება და მუდმივად ცხოვრების უფლება სახელმწიფოს ფარგლებში.

[55] ეუთოს ვალდებულებები ავალებს სახელმწიფოებს, რომ უკლებლივ ყველა სარგებლობდეს საკუთრებაზე უფლებით და არ შეიძლება ვინმეს ჩამოერთვას საკუთრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონით არის განსაზღვრული. მოსკოვის დოკუმენტი (1991). პარაგრაფი 24; კოპენჰაგენის დოკუმენტი (1990), პარაგრაფი 9.6.

[56] მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება ფართედაა აღიარებული საერთაშორისო კანონით. ენების და განათლების უფლების რეალიზაცია, UNESCO. მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის თანახმად განათლების მიღების უფლება გულისხმობს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას. ბელგიური ენის მაგალითი, 1968 წლის 23 ივლისის განჩინება, პარაგრაფი 3 (ა6, 1968, გვ.31). კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში ბერძნულ ენაზე სწავლის მაძიებელთა ბერძენი-კიპრიოტი ბავშვებისთვის სკოლის გაუქმება არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 2-ე მუხლს. 2001 წლის 10 მაისის განჩინება, პარაგრაფები 273-280.

მუხლთან ერთად) თანახმად; აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 1-ი პროტოკოლის 2-ე მუხლის, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე (წაკითხული თანადროულად 1-ი პარაგრაფის 2-ე მუხლთან ერთად) და ეუთოს შესაბამისი ვალდებულებების დარღვევას[57].

VIII. მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი

45. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას,სახელმწიფოებს,ისევე როგორც საერთაშორისო სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს:

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ცნობა;

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება იტვირთონ პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევაზე საქრთველოს ოკუპირებულ რეგიონებში;

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება შეაჩერონ მარვთულხლართებისა და ხელოვნური წინაღობებისა და ბანერების მონტაჟი საოკუპაციო ხაზზე და მოხსნან ისინი;

მიიღონ დამატებითი ზომები, რათა ჩატარდეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვითარების მონიტორინგი და მოხდეს მომხდარი შემთხვევების შესახებ შეტყობინება;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს:

i) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს მიიღოს დამატებითი ზომები, რათა რეგულარად მოხდეს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული შემთხვევების დაფიქსირება და შეფასება;

[57] ვენის დოკუმენტის (1989) 63-ე პარაგრაფის თანახმად ყველას უკლებლივ ხელი უნდა მიუწვდებოდეს სხვადასხვა ტიპისა და დონის განათლებასთან რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა თვალსაზრისის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად.“

ii) გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს საგანგებო პროცედურული მანდატის მფლობელებს - მიიღონ დამატებითი ზომები, რათა მოხდეს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დაფიქსირება და ინფორმაციის მიწოდება;

iii) ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისარს - მიიღოს დამატებითი ზომები, რათა მოხდეს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დაფიქსირება და ინფორმაციის მიწოდება;

iv) ეუთოს და მის ავტონომიურ ინსტიტუტებს, კერძოდ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებს და ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის სამსახურს - გამონახონ გზები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგისთვის. ამგვარ ნაბიჯებს შეუძლიათ inter alia, შეითავსონ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე დაკვირვების მისია და მოამზადონ ანგარიში - ODIHR/HCNM-ის 2008 წლის ანგარიშის „ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ ომით დაზარალებული რეგიონები და ადამიანის უფლებები„ ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.“

განაგრძონ რუსეთის ფედერაციის მოწოდება ნება დაერთოს ა) საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების შეღწევას; ბ) შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებს მისიების, ჰუმანიტარული ორგანიზაციების ჩათვლით ოფიციალური გზებით შეღწევას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში;

განაგრძონ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობა, ისეთის როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, წამებისა და სასტიკად მოპყრობისგან თავისუფლება, თვითნებური დაკავება, უფლება საკუთრებაზე და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.